განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 103-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 32-ე მუხლის მოთხოვნების შესრულება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ცვლილება, საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების ცვლილება, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების ცვლილება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი გადასახდელების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი (ნაშთის გამოყენების გარეშე) უცვლელი რჩება და შეადგენს 971 795,7 ათას ლარს.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვნებელი იზრდება 42 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 858 795,7 ათასი ლარს, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადი ფაქტიური და მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით 2026 წლის დამტკიცებულ საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 40 000,0 ათასი ლარით და წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 840 000,0 ათას ლარით.

ასევე იზრდება სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2 000,0 ათასი ლარით და წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 18 795,7 ათასი ლარის

ოდენობით. კერძოდ, იზრდება ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 2 000,0 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების კლება მცირდება 42 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 113 000,0 ათასი ლარს, კერძოდ, მცირდება არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები 42 000,0 ათასი ლარით.

უცვლელი რჩება ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება) წლიური მოცულობა და შეადგენს 30 204,3 ათას ლარს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებადი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების, ასევე საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების გადანაწილების შედეგად, 2026 წლის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი უცვლელი რჩება და 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 002 000,0 ათას ლარს.

2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - 10 113,6 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია - 1 605,2 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - 7 751,0 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 162 393,2 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო - 119 001,8 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 97 000,0 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო - 40 939,6 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო - 52 000,0 ათასი ლარი;

• საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები - 511 195,6 ათასი ლარი.

რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების ცვლილება გამოწვეულია ძირითადად საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წელს განსახორციელებელი ახალი და

მოქმედი პროექტების მოცულობების, საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების ასიგნებების ცვლილებით.

კერძოდ, 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ცალკეული გადასახდელების მოცულობა მცირდება 19 296,9 ათასი ლარით:

კერძოდ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია - 4,7 ათასი ლარით;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 11 068,0 ათასი ლარით (მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება - 450,0 ათასი ლარი, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა - 1 500,0 ათასი ლარი, აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება - 1 000,0 ათასი ლარი, ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა - 100,0 ათასი ლარი, რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე - 2 950,0 ათასი ლარი, ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია 938,0 ათასი, გზების რეაბილიტაცია - 915,0 ათასი ლარი, ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 2 383,3 ათასი ლარი, საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა - 751,7 ათასი ლარი);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო - 1 528,8 ათასი ლარით (მათ შორის: საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - 170,0 ათასი ლარი, სტუდენტთა დახმარება - 400,0 ათასი ლარი, კონკურსები და ოლიმპიადები - 100,0 ათასი ლარი, უმაღლესი განათლება - 222,5 ათასი ლარი, ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა, წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა - 103,2 ათასი ლარი, სწავლა საზღვარგარეთ - 150,0 ათასი ლარი, პროფესიული და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა 220,0 ათასი ლარი);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 588,1 ათასი ლარით (მათ შორის: ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა - 500,0 ათასი ლარი);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო - 3 969,0 ათასი ლარით (მათ შორის: აგრარული ექსტენციის მიწოდება - 104,8 ათასი ლარი, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება - 127,0 ათასი ლარი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციული მართვა - 329,0 ათასი ლარი, პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები - 2 650,0 ათასი ლარი, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო - ორგანიზაციული მართვა - 216,6 ათასი ლარი, სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა - 170,0 ათასი ლარი, სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია - 241,5 ათასი ლარით);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო - 1 162,0 ათასი ლარით (მათ შორის: კულტურის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა - 178,0 ათასი ლარი, ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა - 218,8 ათასი ლარი, მუზეუმებისა და გალერეების განვითარება - 195,0 ათასი ლარი, კულტურის ხელმისაწვდომობა და პოპულარიზაცია - 470,0 ათასი ლარი);

საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები - 976,3 ათასი ლარით (მათ შორის: მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება - 860,0 ათასი ლარი, შ.პ.ს. "გოდერძი რესორტს" – 116,3 ათასი ლარი).

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა იზრდება 19 296,9 ათასი ლარით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია - 4,7 ათასი ლარით;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი - 300,0 ათასი ლარით;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 214,0 ათასი ლარით (მათ შორის:

- 100,0 ათასი ლარით - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო - 1 528,8 ათასი ლარით (მათ შორის:

- 170,0 ათასი ლარით - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- 783,9 ათასი ლარით - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- 100,0 ათასი ლარით - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
- 190,0 ათასი ლარით - მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 10 588,1 ათასი ლარით (მათ შორის:

- 1 220,0 ათასი ლარით - გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება;
- 1 200,0 ათასი ლარით - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა;
- 8 000,0 ათასი ლარით - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო - 3 969,0 ათასი ლარით (მათ შორის:

- 392,0 ათასი ლარით -ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვა;
- 127,0 ათასი ლარით - ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება;
- 3 037,3 ათასი ლარით - ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა;
- 126,1 ათასი ლარით - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა;
- 216,6 ათასი ლარით - სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო - ორგანიზაციული მართვა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო 1 162,0 ათასი ლარით (მათ შორის:

- 1 019,1 ათასი ლარით - სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა.

საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები - 1 530,3 ათასი ლარით (მათ შორის:

- 860,0 ათასი ლარით - მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება;
- 500,0 ათასი ლარით - სარეზერვო ფონდი;
- 116,3 ათასი ლარით - შ.პ.ს. „გოდერძი რესორტს".

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონის პროექტი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის კანონპროექტი არ ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის კანონპროექტი ასახავს გენდერული თანასწორობის პრინციპებს.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.